



TBILISI HUMANITARIAN  
TEACHING UNIVERSITY

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

აკადემიური საბჭო

სხდომის ოქმი № 7 / 2017

თბილისი

3 ივლისი 2017 წ.

სხდომის დაწყების დრო: 17.00

სხდომის დასრულების დრო: 17.30

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ვალენტინა საყვარელიძე – აკადემიურის საბჭოს თავმჯდომარე, თჰუ რექტორი;
2. კახი ყურაშვილი (სამართლის ფაკულტეტი);
3. ილონა საყვარელიძე (ჯანდაცვის ფაკულტეტი);
4. მკა კაჭარავა (ჰუმანიტარული ფაკულტეტი);
5. ირინა ჯობავა (ჰუმანიტარული ფაკულტეტი);
5. ირმა დიხამინჯია (ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი);
7. მადონა გელაშვილი (ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტი).

ქვორუმი: 5

სხდომის თავმჯდომარე: ვალენტინა საყვარელიძე

სხდომის მდივანი: კახი ყურაშვილი

დღის წესრიგი:

1. საჯარო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების თაობაზე (მომხ. პროფ. კ. ყურაშვილი)
2. უცხო ენებისა და თარგმანის სამაგისტრო პროგრამის მოდიფიცირების თაობაზე (მომხ. პროფ. მ. კაჭარავა)

მოისმინეს: პროფესორ კახი ყურაშვილის ინფორმაცია, რომ 2017 წლის 03 ივლისის სამართლის ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად გადმოეცა მოდიფიცირებული საჯარო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პროექტი, სადაც, მოხდა ცვლილებები პროგრამის იტერნაციონალიზმის მიზნით. კერძოდ, მოწვეულ იქნა უცხოენოვანი პერსონალი პროგრამით განსაზღვრული ცალკეული სასწავლო დისციპლინების უცხო ენაზე წასაყვანად. აქედან გამომდინარე, საჯარო სამაგისტრო პროგრამის სილაბუსებს დაემატება ორი საგანმანათლებლო დისციპლინის ინგლისურენოვანი სილაბუსი; ეს დისციპლინებია: ა) „საქართველოსა და ევროპის კავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“; ბ) „განათლების სამართალი“. შესაბამისად, ამ სასწავლო საგნების წასაკითხად, ფაკულტეტის საბჭომ მოიწვია: ა) უფროს მასწავლებლად სამართლის დოქტორი ქ-ნი ნინო ხუნაშვილი და ბ) უფროს მასწავლებლად სამართლის მაგისტრი, დოქტორანტი ქ-ნი ეკატერინე ბაკარაძე.

მომხსენებელმა წარმოადგინა მოდიფიცირებული საჯარო სამართლის სამაგისტრო პროგრამა დანართი N1-ის სახით და დააყენა კენჭისყრაზე.

აზრი გამოთქვა: პროფ. მაკა კაჭარავამ

კენჭისყრის შედეგი: ერთხმად

გადაწყვიტეს:

1. მოდიფიცირდეს სამართლის ფაკულტეტის მიერ რეალიზებული საჯარო სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სახით (დანართი N1);
2. ამოქმედდეს მოდიფიცირებული პროგრამა აკრედიტაციის მოპოვების შემთხვევაში;
3. ეთხოვოს რექტორს ამ გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა;
4. ეს გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

მოსმინეს: პროფესორ მაკა კაჭარავას ინფორმაცია, რომ 2017 წლის 27 მაისის ჰუმანიტარული ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად გადმოეცა მოდიფიცირებული უცხო ენებისა და თარგმანის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პროექტი, სადაც, მოხდა ცვლილებები პროგრამის დახვეწის მიზნით. კერძოდ, პროგრამის წინაპირობებში დაზუსტდა მისაღები გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი -51 ქულა, გარდა ამისა, დანართის სახით დაემატა სავარაუდო/სარეკომენდაციო სამაგისტრო კვლევითი თემების ჩამონათვალი დანართის სახით. პროგრამის სტრუქტურაში ტექნიკურად გამოტოვებული იყო ლექტორის გვარი ქეთევან გოჩიტაშვილი, რომელიც დაფიქსირებულია სილაბუსში.

მომხსენებელმა წარმოადგინა მოდიფიცირებული უცხო ენებისა და თარგმანის სამაგისტრო პროგრამა დანართი N2-ის სახით და დააყენა კენჭისყრაზე.

აზრი გამოთქვა: პროფ. კახი ყურაშვილმა


კენჭისყრის შედეგი: ერთხმად

გადაწყვიტეს:

5. მოდიფიცირდეს ჰუმანიტარული ფაკულტეტის მიერ რეალიზებული უცხო ენებისა და თარგმანის საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სახით (დანართი N2);
6. ამოქმედდეს მოდიფიცირებული პროგრამა აკრედიტაციის მოპოვების შემთხვევაში;
7. ეთხოვოს რექტორს ამ გადაწყვეტილების ბრძანებაში ასახვა;
8. ეს გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე:

აკადემიური საბჭოს მდივანი:



ვ. საყვარელიძე

ვ. ყურაშვილი